№ 258. პარასკევი, 18 ივლისი. 1896—1897 პარასკევი, 18 ივლისი, № 258.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

Ресторанъ и Гостиница
„ПУРЪГВИНО“
Головинскій, д. кн. Багратіон-Мухранскаго.

სასტუმრო & რესტორანი
„პურ-ღვინო“

Ресторанъ и Гостиница
„П.V.Р.Ъ-Г.ВИНО“
Головинскій, д. кн. Багратіон-Мухранскаго.

გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სასლებში, კლუბის ქვეშ.

მეგობრული მასლაათი

— გამარჯვება შენი! კაცო, რამ გაგასუქა ასე? ნეტა რასა სჭამ?

— საქმეც ეგ არის და! ვჭამ და ვსვამ, რაც-კი საუკეთესო რამ არის ტფილისში: სუფთა, გემრიელი და ნოყიერი საჭმელი, სასმელი გრილი და საუცხოვო, მოსამსახურე მარდი და ზრდილობიანი, ჰავა მშვენიერი, მოწყობილობა საგანგებო და მასპინძელი იმისთანაა, რომ სულში ჩაისვამ, მუდამ მხიარული, გულ-გაშლილი და თავაზიანი!,. აბა, რა თქმა უნდა, რომ ამისთანა საჭმელ-სასმელი ხორცსაც შეერგება და სულსაც აამებს!..

— მერე სად გიპოვნია ესეთი სამოთხე?

— სამოთხე-კი არა, მაგრამ სასიამოვნო ბევრია: მე „პურ-ღვინოზე“ მოგახსენებ...

— ალბად საშინელი სიძვირე იქნება!..

— რის სიძვირე, რას ბრძანებ? აბა ქვემოდ ჩაათვალიერე და თვით დარწმუნდი, არის სადმე ტფილისში ისეთი სიიაფე საჭმელ-სასმელებისა, როგორც „პურ-ღვინოში“?

ნიხრი სადილებისა:

4 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა	1 მან.
3 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა	80 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა	60 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, 1 ბაკალი ღვინო (ანუ კრუშკა ლუდი)	40 კაპ.

ნიხრი სასმელებისა:

1 რუმკა არაყი სმირნოვისა, შტრიტერისა, პოპოვისა და სარაჯიშვილისა . . . . 5 კაპ.
1 რუმკა კონიაკი, ზუბროვკა, მწარე ინგლისური და ჰაჭისა 10 კაპ.
1 ბაკალი ღვინო 5 კაპ., ერთი კრუშკა ლუდი . . . 5 კაპ.
1 ბოთლი ღვინო „კახეთის“ ამხანაგობისა 40 კაპ.-დან, ნახევარი ბოთლი 20 კაპ.-დან, მუხრან-ბატონისა 40 კაპ.-დან, ჯორჯაძისა 35 კაპ.-დან, თავ. გ. ჭავჭავაძისა 30 კაპ.-დან, ნახევარი ბოთლი 15 კაპ.-დან;

ლუდი ვეტცელისა ბოთლი 15 კაპ., ბოვარიის კვასი ბოთლი 15 კაპ., ლიმონადი, გრუშოვი, სოდოვოი, სიფონი და სხვა ბოთლი 10 კაპ.;

ჩაი და რძე 5 კ. სტაქანი. ყავა სტაქანი 10 კაპ.

◆◆ სამზარეულო საგანგებო, ხორაგი ახალი. ◆◆

საჭმლები ევროპიული და ადგილობრივი (ყოველ დღე ღომი)

!!ფასი ყველაფერზე ზომიერი, სისუფთავე და წეს რიგი საგანგებო!!

იქვე ცალკე დარბაზში გამართულია 5 **ფრეიბერგის ბილიარდები**—ფასი საათში 30 კაპ.

ნარდი და ჭადრაკი საათში დღისით 15 კაპ. ღამით 20 კაპ.

სასტუმროში არის მრავალი მორთული და მოწყობილი ოთახები

ფასი თვითო ნომრისა დღე-ღამეში, 40 კაპ.—1 მ. 50 კაპ—მდე, თვეობით 10—30 მანათამდე. **„პურ-ღვინოს“** უპირველესი სურვილი და წადილი არის: **სიწმინდე, თავაზიანობა და პატივისცემა.**

დავშთები საზოგადოების მარად პატივისმცემელი **იაგორ მამინაიშვილი.**

(32—4)

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით 5 ს. ნაშუად.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით დღისით 1 საათ.
ბათომში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით საღ. 10 საათ.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით დღ. 1 საათ.
ფოთიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ოდესაში მიდის—შაბათობით და სამშაბათობით დილის 10 საათ.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ово АЗОВСК. ПАРОХОДСТВА

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3.
Батумѣ—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили.

(50—37)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათსაათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი საქირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ს. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6 $^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**შ. ქ. მერაბი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. არშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს.ბ.თოფურია.**

(წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

16 ივლისი

კრასნოე სელო. 15 ივლისს, წირვის შემდეგ სასოფლო ეკკლესიაში, სასადილო კარავში, უავგუსტოეს მთავარ-სარდალის სახელწოდების დღესასწაულისა გამო გამართულ იქმნა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ერც-ჰერცოგინა სტეფანია ავსტრიელი, საიმპერატორო ოჯახობის წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც უავგუსტოესს მთავარ-სარდალს სახელწოდების დღე მიულოცეს. 2 საათზედ მათნი უდიდებულესობანი და ერცჰერცოგინა სტეფანია ახალ პეტერგოფში წაბრძანდნენ.

მოსკოვი. 15 ივლისი. ყაზანის რკინის გზის საქონლის სადგურს ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა სადგურზე გადმოწყობილი 200 ვაგონი პური, 15 ვაგონი ბამბა, მატყლი და ზეთი, სამანუფაქტურო საქონელი საწყობში, 5 ვაგონი ნავთი, რამდენიმე ვაგონი ხარებით, 100 ვაგონი პური და 100 ცალიერი ვაგონი.

სიმლა. ჩიტრალში, ღამე ინგლისელთა ბანაკს ადგილობრივნი მცხოვრებნი დაეცნენ, მოჰკლეს 1 პორუჩიკი და დასჭრეს 3 შტაბ-აფიცერი და 1 პორუჩიკი. ცხენოსანთა ჯარი უკან დაედევნა ლტოლვილს მტერს.

კონსტანტინეპოლი. მთავრობამ ხელმეორედ უბრძანა ზღვაში გასვლა იმ ესკადრას, რომელიც დარდანელში სდგას. გემების უფროსებმა ითხოვეს—სამსახურიდგან დაგვითხოვეთო, რადგანაც არა გვსურს ზღვაში გასვლაო. მიზეზად ის მოჰყავთ, გემები არ ვარგა არც ზღვაში სასიარულოდ, არც ბრძოლისათვის და ამიტომ არა გვსურს თავი შევირცხვინოთო. ამ ამბავს აქ დიდს ყურადღებას არ აქცევენ. ამბობენ, ერთად-ერთი შედეგი მოჰყვება ამ ამბავს—მინისტრის დათხოვნა სამსახურიდგან და ფლოტის საქმის განკარგებაო.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით ტფილისის გუბერნატორად დანიშნულ იქმნა ტფილისისავე ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბიკოვი.

უმაღლესის ბრძანებით კადეტთა კორპუსებში და პაჟთა კორპუსში წელს 16 აგვისტოს მაგიერ სწავლა 1 სექტემბერს დაიწყობა, ამიტომ მოწაფენი 31 აგვისტოს უნდა გამოცხადდნენ სასწავლებლებში.

პარიჟი. ჰანოტომ ინახულა კამბაონი, რომელიც ძლიერ მალე დაბრუნდება კონსტანტინეპოლში თვის თანამდებობის ასასრულებლად.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ **მთავარ-მართებლის ჩამობრძანება ტფილისში.** კავკასიის მთავარმართებელი თავადი გოლიცინი აგვისტოს პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამობრძანდება, მცირე ხნობით კოჯორში დარჩება და შემდეგ გაემგზავრება ყარსის ოლქში, სადაც უნდა დაესწროს არდაანის და სარიყამიშის ჯართა აღლუმს.

⁂ **გზათა მინისტრის წაბრძანება თიანეთში.** გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი 19 ივლისს წაბრძანდება თიანეთში, სადაც დაუხვდებიან ინჟენერები, კახეთის რკინის გზის გაყვანისათვის დანიშნულნი. ამ დღესვე მინისტრი კავკავისკენ გაემგზავრება, გასინჯავს სამკურნალო წყლებს თერგის ოლქში და იქიდგან პეტერბურგს გაემგზავრება.

⁂ **თხოვნები გზათა მინისტრის წინაშე.** თავ. ხილკოვმა რკინის გზის უფროსს გადასცა ყველა ის თხოვნები, რომლებიც მიართვეს რკინის გზაში მსახურთ ან ნამსახურთ. უმრავლესობა თხოვნებისა ნამსახურებისგანაა, რომლებიც სხვა-და-სხვა მიზეზებისაგან დათხოვნილები იყვნენ, და ეხლა თხოვენ უკანვე მიგვიღეთო. რკინის გზის უფროსმა უნდა თავისი აზრი მოახსენოს თვითეულს თხოვნაზედ გზათა მინისტრს.

⁂ **გუბერნატორების პასუხისმგებლობა.** გამოცხადდა ახალი წესდება შესახებ გუბერნატორების პასუხის მგებლობაზე.

⁂ **ინჟინერ იუნგის მმართველობის საქმე.** ყველა იმათ, რომელთაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა მადნებში მუშაობა იუნგის თავს დასხმის გამო, გადააქვთ სააპელაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატაში.

⁂ **ოსების ჯარში გაყვანის გამო.** გადაწყვეტილია, რომ შემდეგში ცხენოსან დივიზიის ჯარში ჩარიცხული ოსები ნამდვილ სამსახურში მხოლოდ სამი წელიწადი-ღა ითვლებოდნენ.

⁂ **მადნის აღმოჩენა.** ძველი-სენაკის მახლობლად აღმოუჩენიათ მდიდარი მადანი გოგირდისა. მადანი გასინჯა ერთმა ფულის პატრონმა რუსმა, რომელიც აპირობს ამ ადგილის ყიდვას. მაღლობ ადგილებზე გოგირდის წყაროებიც არის, თურმე, მაგრამ აქამდის ისინი არავის გაუსინჯავს რიგიანად. ამბობენ, ამ მიდამოში დიდ მანძილზე ძევს გოგირდიო.

⁂ **საქმე ყმაწვილის დატანჯვაზე.** ტფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩევა საქმე ს. ველისციხის მცხოვრებელთა გეურქ დათუაშვილზე, ნიკო მოშიაშვილზე და გიო სეხნიაშვილზე. ხსენებულთ ჰბრალდებათ სასტიკად დატანჯვა 18 წლის ყმაწვილის ალექსანდრე შავლიაშვილისა. ამ ყმაწვილს სამთავემ შეუკრეს, თურმე, ფეხები თოკით და თავ-დაყირა მიაკრეს ხეზე ნახევარის საათით. ესეთი საქციელი ჩაიდინეს იმ განზრახვით, რომ შავლიაშვილისთვის ეთქმევინებინათ ბეთანიშვილის გაქურდვა.

⁂ **ახალშენი მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის.** მცირე-წლოვან დამნაშავეთაივის მალე შეუდგებიან ახალშენის გამართვას ავჭალაში; ადგილ-მამული უკვე ნაყიდია. წყალის მილით გამოყვანისათვის უკვე შესდგომიან მუშაობას, წყალს გამოიყვანენ მტკვრიდგან თ. ერისთავის სისტემით — უორთქლოდ, მაშასადამე უცეცხლოდაც.

⁂ **სახალხო განათლების სამინისტროს განმარტება.** ხსენებულმა სამინისტრომ განმარტა, რომ საშუალო სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება განასაჩივრონ უმაღლეს დაწესებულებაში ე. ი. ოლქის მზრუნველთან, რომელსაც ექვემდებარება საშუალო სასწავლებელი. თუ მზრუნველის გადაწყვეტილებაც ვერ აკმაყოფილებს მომჩივარს, შეუძლიან მინისტრს მისცეს საჩივარი. ვადები საჩივრის შეტანისა არ არის განსაზღვრული.

⁂ **ზუზუმანის ქარხნის გადაწვა.** 15 ივლისს ქ. გორში ცეცხლი წაეკიდა ბ. ბ. ზუზუმანების შპალების ქარხანას და მთელი დღე და ღამე არ განელებულა. დაიწვა დამზადებული მრავალი შპალები და ხის მასალა. ზარალი 70 ათას მანათს აღემატებაო.

⁂ **ფილოქსერის აღმოჩენა.** სურამისა და ცხინვალის საფილოქსერო დასმა წლეულს ფილოქსერა ამოაჩინეს ს. დირბში და ბორჯომის მახლობლად.

⁂ **ყირიმის მევენახეების თხოვნა.** ყირიმში ვენახის პატრონები აპირებენ მიმართონ თხოვნით საფინანსო მინისტრს ს. ი. ვიტტეს, რომ მან ნება დართოს სამხრეთ მევენახეებს, შეეძლოთ სახელმწიფო ბანკიდგან ხანგრძლივი სესხის გამოტანა ღვინის გირაოთ.

⁂ **სტუდენტების მოგზაურობა ჩრდილო-კავკასიაში.** როგორც გაზ. „ყაზბეგი“ გადმოგვცემს, კავკავში ჩამოვიდა ცხრა სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა პროფ. მ. ი. გოლენკინის მეთაურობით. მოგზაურებმა უნდა გასინჯონ კავკასიის მთების საყინულეები.

⁂ **უბედური შემთხვევა გაუფრთხილებლობისაგან.** სოფ. სურებში გაუფრთხილებლობამ იმსხვერპლა გ. ი. რამიშვილი, რომელიც გატენილ რევოლვერს წმენდდა. რევოლვერი უეცრივ გაუვარდა, ტყვია საფეთქელში მოხვდა და რამიშვილი იქვე მკვდარი დაეცა.

⁂ **საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში.** (გაგრძელება). მორიგ ლექციებზედ, საბრეშუმო სადგურში ბ-ნ შავროვის მიერ განხილულ იქმნა ცოცხალ სურათებზედ აბრეშუმის ჭიის სხეულის აგებულობა, გარეგანი და შინა ორგანოები და პროცესი, თუ რა ნაირად მზადდება პარკი. ბევრი თუმცა გაუგებრად დარჩა, მაგრამ ცოცხალმა სურათმა და მისმა ნაწილ-ნაწილად დაყოფამ, განსაკუთრებით შიგნეულობითი აგებულებამ დიდად გაიტაცა მასწავლებელნი. გარდა ამისა, შუშებში შენახული თითქმის ყველა ნაწილი აბრეშუმის ჭიის სხეულისა დაარიგა ბ-ნმა შავროვმა, რათა ნამდვილი ჭიის აგებულობა ენახათ.

შემდეგ ბ-ნმა შავროვმა სთქვა, საქართველოში, ამ კურთხეულ ქვეყანაში ამ უკანასკნელ წლებამდინ აბრეშუმი არა გვარობდა და თუ ზოგიერთთ მოჰყავდათ, იყო მცირე და უვარგისი. მიზეზი ამისა პირველი და უმთავრესი იყო თესლის უვარგისობა. ხშირად ისეთ პირთ მოჰქონდათ თესლი, რომელნიც სრულებით სანდონი არ იყვნენო. მდარე თესლიდგან მდარე ჭიაც გამოდიოდა, ავადმყოფობას მალე იზიდავდა და ამიტომაც არის, რომ საქართველოში აბრეშუმის მრავალი ავადმყოფობა არის გავრცელებულიო. მათში განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ორ გვარ ავადმყოფობას, ეგრედ წოდებულთ „პებრინას“ და ჭიის სიდუნეს, რომელნიც ჭიას არამც-თუ პარკის გაკეთებამდინ აჩანაგებენ, არამედ თვით პარკებშიაც აფუჭებენ, რის გამოც პარკი ლპება და აბრეშუმის ამოსახვევად სრულებით აღარა ვარგობს. მაგალითად დაასახელა შუშის მაზრა, სადაც იმედოვნებდნენ პარკის მიხედვით 100,000 მანათად ღირებული აბრეშუმი გაეყიდნათ, მხოლოდ ჭიის სიდუნის გამო 40,000 ღირებულიღა გაყიდეს.

„პებრინა“ გადამდები სენია. ავადმყოფ ჭიიდგან არამც თუ სხვა საღ ჭიებზედ გადადის, არამედ თვით თესლებზედაც და თესლებიდგან კიდევ ავადმყოფი ჭიები იჩეკებიან. ამნაირ ავადმყოფობით გატიკნულ ჭიათ მთელ ზემო კანზედ ჯერ პატარ-პატარა მოშავო რგოლებს დააყრის და შემდეგ მთელი ტანიც გაუშავდებათ, თურმე. ერთად-ერთი წამალი ამ ავადმყოფობის შესახებ მეცნიერებს ჯერ-ჯერობით ვერ გამოუკვლევიათ იმის მეტი, რომ, რაც შეიძლება, ჭიას კარგად შეუწყონ ხელი, რაც შემდეგში მდგომარეობს: შენობა, სადაც ჭიამ უნდა იცხოვროს, უნდა იყოს ფართო, სინათლიანი, აგრეთვე ჰაერი უნდა იყოს სუფთა, რის გამოც სადგურს უსათუოდ ჰაერის გასაწმენდი მანქანები (ვენტილიატორები) უნდა ჰქონდეს. ჭიის ქვეშ საგები ხშირად უნდა გამოიცვალოს, რომ უსუფთაობამ ერთად თავი არ მოიყაროს; უსუფთაობა ერთი უმთავრესი მიზეზია მათი ავადმყოფობის გავრცელებისა. აუცილებლად საჭიროა, განსაკუთრებითი ყურადღება იქონიონ სითბო-სინესტის რაოდენობაზედ; სითბოსთვის საჭიროა ტერმომეტრი, სინესტისათვის გიგრომეტრი. სხვა-და-სხვა დროს აბრეშუმის ჭიას სხვა-და-სხვა სითბო სჭირდება. პირველ დღეს, საიდანაც იწყობა გამოჩეკვა, (ანუ გამოსვლა) 12-°, შემდეგ 14-°, 15-°, 16-°... ყოველ დღე ემატება თითო გრადუსი, ვიდრე 20° მდე არ ავა.

ამ დროსთვის თესლიც გამოვა, შემდეგ ნორმალური ტემპერატურა უნდა იყოს დაცული. გახდება თუ არა ჭია ავად, მაშინვე უნდა გააცალონ სხვა ჭიებს; ჭიის თესლი უპირველესად წმინდა წყლით უნდა იქმნას გარეცხილი. აბრეშუმის ჭიის კვებას განსაკუთრებითი გავლენა აქვს ავადმყოფობის შემცირებაზე, ამიტომ რაც მალ-მალე დაუყრიან ფურცელს, მით სასარგებლოა; ყოველ სამ საათში ერთხელ მაინც უსათუოდ უნდა დაუყარონ. ჩვენში-კი მარტო დილით და საღამოთი იციან ჭმევა, ჭიაც ამიტომ მოძლურებული და უტანო არის. ავადმყოფობას ხელს უწყობს, თურმე, სველი ფურცლის დაყრა, ჩვენში-კი, გამშრალიც რომ იყვეს, განგებ დაასველებენ ხოლმე.

ამ უკანასკნელ ხანში ნახჩევნის და ერევნის გუბერნიებში ერთი სხვა ახალი ავადმყოფობაც აღმოჩენილა, სახელად „მუსკარდინა“. ესევე ავადმყოფობა აღმოუჩენიათ საფრანგეთშიაც, მაგრამ წამალი ვერ შეუხვედრებიათ; ავადმყოფობა შეიძლება ცოტათი შემცირდეს ზემო მოყვანილი ხელის შეწყობით და მოვლით. აბრეშუმის ჭიას, გარდა ავადმყოფობისა, აჩანაგებენ: ჭიანჭველა, ნეხვის ჭია, თაგვი, ვირ-თაგვა და ჩიტებსაც უყვართ ხოლმე აბრეშუმის ჭიით ყელის ჩაკოკლოწინავება. კარგი იქმნება ჭიათა ქვეშსაგები მაღალ ფეხებიან მაგიდაზედ იყოს გამართული, მაგიდას ფეხები პირ განიერ, წყლით სავსე ქოთნებში ჩაიდგმება და ჭიას ხაოსაც ველარავინ შეუშლის. მაგიდის ფეხების გარშემო შეიძლება გაცრილი ნაცარიც შემოეყაროს, ჭიანჭველა შიგ ჩაიფლობა და ვიდრე ის თავს უშველის, პატრონიც მოასწრობს, მხოლოდ თაგვს ვერ გაიმაგრებს. ამიტომ პირველი საშუალება უფრო ჭკუას ახლოა.

განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეულ იქმნას განგებ აბრეშუმის ჭიის ამოხოცვაზედ პარკშივე. ხშირად, დროს უქონლობის გამო, ადრე ვერ ამოახვევენ ხოლმე აბრეშუმს, მაშინ, რა თქმა უნდა, პეპელა გამოვა და პატრონს აზარალებს. ამ შემთხვევაში უნდა მოიქცნენ ასე: ქვაბი უნდა აავსონ წყლით იმოდენაზე, რომ ქვაბის პირამდისინ უწყლო ადგილი ორი ან ერთ-ნახევარი ვერშოკი-ღა დარჩეს; ადუღების შემდეგ ქვაბის პირზე უნდა დაიდგას წმინდად დაწნული ცხავი და შიგ ჩაიყაროს პარკი სიმაღლით ორ ან სამ ვერშოკზე (ქვაბი ცეცხლიდგან არ უნდა გადმოიღონ). ჭიები ორთქლის გამო 15—20 წუთის განმავლობაში უსათუოდ დაიხოცებიან. ასეთი პარკების წონა კლებულობს ორ მესამედზე. თუ პირველად 30 გირვანქა იყო პარკი, ჭიების გამოხოცვის შემდეგ დადგება 10 გირვანქა. ასეთი დაკლება წონაში ჭიის ამოხოცვის უტყუარ ნიშნად ითვლება. ლექციებზედ დაწვრილებით იშინჯებოდა ჭიის ანატომია. ამაზედ სემინარიის რეკტორმა არქიმანდრიტმა მ. სერაფიმემ შენიშნა, რომ კერძო შინაურ მეურნეობისათვის მაინც-და მაინც დიდი მნიშვნელობა არ უნდა ეძლეოდეს დაწვრილებით ანატომიურ განხილვას; უფრო პრაქტიკით შეისწავლების მეაბრეშუმეობაო. ამაზედ ლექციებზე დამსწრე მოსკოვის უნივერსიტეტის ზოოლოგიის პროფესორმა ბ-ნმა ალექსანდრე ანდრიას ძე ტიხომიროვმა მოახსენა: „თუმცა საიმისო დიდი მნიშვნელობა არ ექმნება ანატომიურ განხილვას, მაგრამ მისი გაცნობა ყოველ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა. რაც ადამიანს სავსებით აქვს გაცნობილი საგანი, — თუნდ იგი ცოდნა ბუნდოვანიც იყოს, — დიდ შეღავათს მისცემს მისავე გამოსაყენებლადო“. მოიყვანა მაგალითი; „ჩემ კავკასიაში მოგზაურობის დროს შევხვდი ერთს თათრის ოჯახს, რომელსაც საკვირვლად მოვლილი ჭია ჰყავნდა. როდესაც დავეკითხე, რით აიხსნება, რომ ასეთი კარგი ჭია გყავს-მეთქი, მიპასუხა: მე ჭიის აგებულება მაქვს ცოტათი გაცნობილი, ვიცი რა ავნებს და რა არგებს, ამიტომაც ცოდნით ვუვლი და ხელს კარგად ვუწყობო. დასარწმუნებლად, — მართლა იცის თუ არა აბრეშუმის ჭიის ანატომია, შევეკითხე ზოგიერთს ნაწილებზე და გამაკვირვა თავისის ცოდნითაო“.

მ—შვილი.

⁂ **ს. ზემო მაჩხაანი. სალიტერატურო საღამო.** ხუთ მკათათვეს აქაური ახალგაზდობის დახმარებით მიხეილ ზენაშვილმა გამართა თავისავე სახლში სალიტერატურო საღამო უფასოთ, რომელსაც დიდ ძალი ხალხი დაესწრო. ბ. დ. მაჩხანელმა წაიკითხა რამდენიმე თავისი ლექსი. წაიკითხეს აგრეთვე რამდენიმე ლექსები და მოთხრობები ჩვენის მწერლებისა. ბოლოს ქ-მა ალექსანდრა მიხეილის ასულმა მენთეშაშვილისამ და ბ. ზენაშვილმა ითამაშეს უკანასკნელი სცენა „სამშობლოდგან“ შესაფერის ტანისამოსით. მშვენიერი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოთ კითხვამ, უფრო კი უკანასკნელმა სცენამ. ეს მეორეთ გამართა ბ. ზენაშვილმა ასეთი უფასო საღამო და სწორეთ, რომ მადლობის ღირსია აქაურ საზოგადოებისგან როგორც ზენაშვილი, რომელიც არა ზოგავს არამც თუ შრომას, არამედ ხარჯს, რომელიც აუცილებელია ყოველთვის ამნაირ საღამოს გამართვაში, — აგრეთვე ახალგაზდობა, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ მასში.

⁂ **ს. დვაბზუ (გურია). დაქვეითება უპატრონობის გამო.** ბევრჯერ გვსმენია ბაასი დვაბზუს სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებაზე, მაგრამ ჩვენმა დვაბზუელებმა დღემდე სიტყვა საქმედ ვერ აქციეს, თორემ სკოლის გადაკეთება დღეს მორჩომილი საქმე იქნებოდა. მეტი ნაწილი სოფლისა კიდეც დათანხმებულიყო, მაგრამ, როცა სოფელს ყურის-მგდებელი და პატრონი არა ჰყავს, თვით სოფლელები რას გააწყობენ! სხვებისა რა მოგახსენოთ და, ჩემის აზრით, სოფლელებს არავითარი დანაშაული არ მიუძღვისთ ამისთანა დაქვეითებაში. აბა რა იციან სოფლელებმა, რა სარგებლობას მოიტანს სოფელში ორ-კლასიანი სასწავლებელი? ეს რომ სოფლელებმა იცოდნენ, მაშინ სკოლების შესახებ არც ბაასი და არც დავიდარაბა დაგვჭირდებოდა. სანამ სოფლელებმა არ იციან სწავლა-განათლების გემო, ყოველ დღე და ყოველ ნაბიჯზე უნდა უქადაგებდეთ სწავლა-განათლების შესახებ. სწავლებისა და ქადაგების მოვალენი, როგორც ყველამ უწყის, არიან სოფლის მასწავლებლები და მღვდლები. დიაღ, მოვალენი არიან და ბევრნი კიდეც ასრულებენ პირ-ნათლად თავიანთს მოვალეობას, მაგრამ დვაბზუზე გული არავის შესტკივა; სხვები რომ ხალხს სწავლა-განათლების შესახებ ჩასჩიჩინებენ, ამ დროს დვაბზუის ნასწავლები ძილში კაი-კაი სიზმრებით სტკბებიან. აი, ეგ არის მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, თორემ რაღა გვიჭირს, თუ გამოვფხიზლდებით და ფხიზლად მოვეპყრობით ჩვენს ზნეობრივს მოვალეობას!..

მალ. მეკვანტური.

⁂ **ს. უჩხუბი (გურია). უეცარი სიკვდილი.** ეს სოფელი მდებარეობს შვიდი ვერსის მანძილზე ქ. ოზურგეთიდან. ამ სოფლიდან, როგორც სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან, მრავალი არის საზაფხულოდ და საგარაკოდ წასული ბახმაროში. ეს სოფელი ძლიერ ახლოა მთაზე; აქაურს მცხოვრებს მთაზე წასვლა რაღათ უნდა, მაგრამ ეხლა მთაზე წასვლა „მოდათ“ არის შემოღებული; ყველანი, დიდი თუ პატარა, სახლში აღარავინ რჩება და მთაში მიეშურებიან. სხვათა შორის მთაში წასულა აქაურის მღვდლის გ. მიქ—შვილის რძალი და მისი ოჯახობა. ათს ამ თვეს ბახმაროში კაცებს და მასთან ქალებსაც ბურთის თამაში დაეწყოთ. როგორც ამბობენ, შვიდასამდის მარტო ქალი იქნებოდაო; მათ შორის დაეწყო თამაში მღვდლის რძალსაც. დაღამებისას ყველანი თავ-თავიანთ სახლში წასულან. მღვდლის რძალიც თავისს სახლში წამოსულა. შინ ვახშმად გაკეთებული კალმახი დახვედრია და ცოტა უვახშმნია. არ გასუ-

ლა ცოტა ხანი, რომ ქალს უთქვამს, გულზე რაღაც მაწვესო და თან გულიც მერევაო... მეორე დილას, 11 ამ თვეს, ახალგაზდა ქალმა სული განუტევა. სიკვდილის მიზეზი არავინ იცის. შესაძლებელია, რომ თევზისაგან იყო მოწამლული, კალმახი ხომ მეტად მავნეა. ახალგაზდა ქალის უეცარმა სიკვდილმა ყველა მეტად შეაწუხა. ქმარი და ნათესაობა სრულებით სასოწარკვეთილნი არიან.

ილიკო.

⁂ **დ. გუდაუთი** (აფხაზეთი). **სარცხვინო თავხედობა ავაზაკებისა და კაცის კვლა.** 12 ივლისს, ს. დურუბში, რომელიც ორი ვერსის მანძილზედ ახლავს გუდაუთს, ერთს აქაურს მცხოვრებს აზ, თემშუღ ლაკერბაიას ფსხურა (ალაბი) ჰქონდა გარდაცვალებულის შვილისა. ჩვეულებისამებრ, მიწვეულ ჰყავდა დიდ-ძალი ხალხი და კიდევაც ბევრი ხალხი დაესწრო სხვა და-სხვა ახლო-მახლო ადგილებიდგან; ხალხი იყო შეკრებილი ერთს მინდორზედ და განიყოფებოდა ორ-ნაწილად: მარჯვენა და მარცხენა მხარეს, რადგანაც პანაშვიდის გადახდის შემდეგ იქნებოდა გამართული ცხენების დოღი; ამ ხალხთა შორის მოჰყოლია ყაჩაღად გავარდნილი მ. ლუბულია, რომელიც აგერ სამიოდე წელიწადია, რაც ტყეში იმალება, ამ სამის წლის წინეთ ს. ლიხნის მცხოვრების ა. შეყრილბაიას მკვლელობის გამო. ამავე დროს აქ მოვიდა მოკლულ შეყრილბაიას ძმა თ. შეყრილბაია; და რა დაინახა თავის ძმის მკვლელი, მაშინათვე მიაძახა—ეხლა-კი ვერსად წახვალო. ლუბულიამ ამ სიტყვაზედ მოაბრუნა ცხენი და უნდოდა მივარდნილიყო, მაგრამ შეყრილბაიამ რევოლვერი ესროლა და ცხენი მოუკლა ლუბულიას; ლუბულიამ ცხენის წაქცევის უმალ ანება თავი და იქვე მახლობელ ხეს ჩაესაფრა და იქიდან დაუმიზნა ბერდენკა. ბერდენკის ტყვიები ასცდა შეყრილბაიას და მარჯვნივ მხარეს მდგომ ხალხს მუსრი გაავლო. რვამდე კაცი დაიჭრა და ორი ცხენიც მოჰკლა დაჭრილებისა. დაჭრილში ზოგი ვერ მორჩებაო ამბობენ. სწორედ ამ დროს ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ლევორვერი ესროლა შეყრილბაიას ცხენს და იქვე მოჰკლა. ამბობენ ლუმულიას ამხანაგიაო. ამნაირმა სურათმა ხალხი არივ-დარია და შეიქმნა ჩოჩქოლი და ხმაურობა. ამით იდროვა ერთმა აფხაზმა, რომელსაც ნდომებია თავის მეზობლის მოკვლა და მივარდნილა ხანჯალით, თავში დაურტყამს და გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ეს თავ-გადასისხლიანებული კაცი უკან დაედევნა, დაეწია და გულში რევოლვერი დასცა და იქვე სული გააფრთხობინა. მაშინათვე შეიპყრეს მკვლელი და წარუდგინეს სოფლის მამასახლისს; მამასახლისმა განუკითხველათ გადასცა გუდაუთის ბოქაულს და მაშინათვე დააპატიმრეს; ამასობაში ხსენებული ყაჩაღები-კი გაიქცნენ ტყეში. საღამოზედ თავის ჩაფრებით მოვიდა გუდაუთის უფროსი და გამოიძია, მაგრამ პასუხის მგებელი-კი არც არავინ იყო. ამიტომ უბრძანა ჩაფრებს იმ ღამეს ეყარაულნათ ყაჩაღებისათვის სოფლის გზებზედ, მაგრამ დღესაც ტყულად იქ არიან საყარაულოდ ჩაფრები. რას უნდა გახდეს ან ადმინისტრაცია და ან სხვები, როდესაც ხალხი არ გასცემს ენას ყაჩაღებს მოყვრობით-კი არა შიშით, რომ იმათაც უარესი დღე არ დააყენონ. ამისთანა ამბები ხშირად ხდება ხოლმე აქაურ ახლო-მახლო სოფლებში, თუმცა და ბევრი მათგანი ციმბირის ცივს ქვეყნებში სცხოვრობენ, მაგრამ მაინც არ იქნა მათი ჭკუაზედ და კეთილ გზაზედ დაყენება...

— **ამინდი და ქარტეხილი.** როგორც იქმნა, ველირსეთ წვიმასივლისის თვეში და დიდი სიხარული დაეტყო ხალხს, თუმცა-და სიმინდის ტაროები წარსული წლებივით არ არის, მაგრამ ვაზს მაინც მომეტებული ასხია. ამ სიხარულს თან სიმწუხარეც დაერთო: ცამეტს ამ თვეს, დილით ამოვარდა ზღვის ქარი და მთელის ორის საათის განმავლობაში აწიოკებდა აქაურებს; დალეწა ხეები, ვენახები, სულ ერთიანად დაგლიჯა ვაზები ხეებზედ და და ნახევრად ძირს ჩამოყარა; ხალხი პირ-დაღებული შეჰყურებს თავის ზვარს და არ იცის საწყალმა რა ღონეს მიჰმართოს და რითი გამოჰკვებოს ცოლშვილი; სწორედ საზარელი მდგომარეობაა ხალხისა.

დამსწრე.

⁂ **ძ. ოზურგეთი.** **კაცის დაჭრა.** 14 ივლისს აქ შეიკრიბა რამდენიმე ქეიფის მოტრფიალე ყმაწვილი ერთის მეღვინის სარდაფში და მოჰყვნენ ღვინის სმით და ნარდის თამაშით დროს ტარებას. როცა კარგად შეზარხოშდნენ, მოუვიდათ ერთერთ შორის აყალ-მაყალი და ლანძღვაგინება. ამას აღარ დასჯერდნენ და ხანჯალს გაივლეს ხელი; საუბედუროდ, ხანჯალის ხუმრობა არ უყვარს და დაიჭრა ერთი მოქეიფეთაგანი ლ. ც—ლი. მისი გადარჩენა საეჭვოა. დამნაშავე გ. დ—ძე კი თავისუფლად დასეირნობს, თითქოს აქ არაფერიაო. ამბობენ, დაჭრილი დამნაშავის ნათესავი არის—დეიდაშვილიო.

— **თავ-ხედური ქურდობა.** იმავე საღამოს, ღამის 1-ლ საათზე, მოჰპარეს აქაურის დრუჟინის მოიჯარადრეს ბაბაიანოვს ხარის 14 ტყავი. მეტად გასაკვირველია ქურდის ასეთი თავ-გასული საქციელი. ხსენებულის მოიჯარადრის დუქანში არავინ არ ყოფილიყო. ქურდები შესულიყვნენ უკანა კარებიდან, რომელიც გაეტეხნათ; გამოეზიდნათ, რაც-კი ყოფილიყო შიგ ტყავი, დაეწყოთ ურემზე და გასდგომოდნენ უშიშრად თავისს გზას. დილას, როცა გაიგეს, უკან დაედევნენ, მაგრამ იპოვეს მხოლოდ ერთის ვერსის მანძილზე ოთხი ტყავი, რომელიც გამოვარდნოდათ და ალბად სიმძიმის გამო იქვე დაეტოვებინათ, დანარჩენისა-კი ვერაფერი გაიგეს. ასე უშიშრად თუ დაიწყეს ქურდობა, თქვენი მტერია, სულ ერთიანად აგვიკლებენ. იმედია, ბ-ნი მაზრის უფროსი ჯეროვნად გამოიძიებს და აღმოაჩენს ამ თავზე ხელაღებულ ქურდებს და სასტიკად დასჯის.

მ. რუ—შვილი.

⁂ **ს. ხოვლე** (ქართლი). **ახალი და ძველი მეურნეობის შედეგი.** აი დაიწყო ზაფხულიც და მოჰყვა ქერებ-თივების ცელვა და ყანების მკა. სწორედ სასიამოვნო სანახავია ამ დროს სოფლად ველ-მინდორზედ გაშლილი მუშის გუგუნ-გრიალი.

მოსავალი, როგორც მოსალოდნელი იყო, გარგია. დილიდგან სალამომდინ კალოებიდგან მოგესმით განუწყვეტელი, დინჯი, მომწყენელი და ერთ კილოვანი „ოროველა". თან ილეწება შვინდის კურკასავით გაჭიკნილი მწიფე თავთავი და თანაც საძნე ურმით დატვირთული „მოტატამს" აუჩქარებელი, ძონძებში გახვეული ქართლელი გლეხი. გაუდის ტყლაში-ტყლუში შოლტს და ზედ მოსდევს ნაღველ-მომგვრელი და თანაც სასიამოვნო „ურმული" განიორწყლებულ ბეჩავ მეურმისა.

ამ ხმაში თითქოს ნათლად ჰხედავთ მის გაბეჩავებულს მდგომარეობას: აი მოიტანა თავისი წლის სარჩო, დაყარა კალოზედ, გალეწა, გამოანიავა, შეახვავა...

„მარცვალი ჰგავს შვინდის კურკას, სათესლე და დასაფქვავი".

მაგრამ რა გამოვიდა! გლეხის ნაწვავ-ნაამაგდარი მიკირტუმას და საქუას მიაქვს და თვით-კი რჩება ხახა მშრალი!..

ვენახებს კარგად ასხია და, ღვთით, ხილი და პურიც სამყოფი გვექნება წრეულს.

მხოლოდ ეს არის, წელს ძალიან დიდი გვალვები დაიჭირა; ამ ორი თვის განმავლობაში წვიმის ნამი არ ვიცით როგორია. ეს ძალიან შეაწუხებს სიმინდს, ლობიოს, უგრეხელს და საერთოდ ბოსტნეულს. (უგრეხელს აქეთ კარგა ბლომათა სთესენ საქონლისათვის.) ვაზს-კი არა უშავს რა, პირ-იქით, ამნაირი სიმშრალე ხელს აღარ შეუწყობს სხვადა-სხვა ვაზის ავადმყოფობას და სალათ შეინახავს ყურძენს.

თუმცა აქეთ ძალზედ კლებულობს ყოველ წლივ ღვინის მოსავალი, მაგრამ მცხოვრებთ ეს ღვთის განგება ჰგონიათ და სასოებით შეჰყურებენ იმის მადლს, რომ როდის იქნება მოსავალმა პირი იბრუნოს და უწინდელს სანატრელს დროსამებრ საწნახელის თარიდგან შეუწყვეტლივ მკლავის სიმსხო მოჩუხჩუხებდეს ტკბილიო. მაგრამ ვაზის ავადმყოფობა თავისას არ იშლის და წლითი-წლობით სისწრაფით ედება ამ უკვდავება ვენახებს. აქაურ გლეხ-კაცის უმთავრესი ხარჯ-ბორჯის გამასტუმრებელი სახსარი მევენახეობა არის და ამ მეურნეობის დარგსაც ეს დღე ადგება. უნდა მოგახსენოთ, რომ აქაური ღვინოები განთქმულია აქეთ მხარეს და კარგ მეღვინეს ხელში ატენურს, ხიდისთაურს და თვით კახურს ღვინოებსაც არ დაუარდება. ადგილმდებარეობა და ნიადაგის თვისებაც ხელს უწყობს ამას.

მხოლოდ ამ საქმეს უნდა მოთავეობა და წინ გაძღოლა. რასაკვირველია, მარტო სიტყვა და მომბეზრებელი ჩიჩინ-დარიგება აქ არ გამოდგება. გლეხ-კაცს უნდა მაგალითის ჩვენება და თავისი თვალით ნახვა სასარგებლო საქმისა, თორემ ის ურწმუნო თომაა და რა გინდ ბევრი ეჩიჩინო მეურნეობის გაუმჯობესობაზე, ის მაინც ძველთაგან ნაანდერძევს ჩვეულებას არ უღალატებს და აგრე მალე არ იწამებს ახალ მოძღვრებას. შორს რომ არ წავიდეთ, მიუთითებთ კახეთზე და იმერეთზე, სადაც უმეტესი ნაწილი მევენახეობისა უკვე მისდევს ვაზის წამლობას. გლეხ-კაცს აგრეთვე ეჯავრება „ჩინოვნიკური" მასლაათი და ის პირი, რომელიც „ფიქსატუარით" გაწკეპილ ულვაშებით და „ლაიკის" ხელთათმანებში გამოწკიპული მაღალ აზრებზე დაუწყებს მოძღვრებას.

მას ესიამოვნება და გულ-მოდგინეთაც ყურს დაუგდებს იმისთანა პირს, რომელიც ჭირსა და ლხინში თან დასდევს და ყველა მის ჭრილობას გამკურნებელს მალამოს ადებს. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვიაროთ, რომ აქაურს თავადებს შორის ნელ-ნელა ფეხს იკიდებს გონივრული მეურნეობა და შრომა-სიმხნევეს ეჩვევიან.

მაგალ., გიგო ალექსანდრეს-ძე და გიგო იოსების-ძე ჯავახიშვილებმა შეიძინეს ვერმორელის მანქანა და ყოველ წლივ სწამლობენ თავიანთ ვენახებს და აჩვევენ გლეხებსაც ვენახების წამლობას. უკანასკნელს ისე ჰყავს რამდენიმე გლეხი გაწვრთნილი ვერმორელის მანქანის ხმარებაში, რომ საუკეთესო მხმარებელთ არ ჩამოუვარდებიან. ამას წინად თ. გიგო ოსების ძე ჯავახიშვილს ვსთხოვე ეჩვენებინა ჩემთვის სოფელ ხანდაკში მისგან ახლად გაშენებული ბაღ-ვენახი და სწორედ სასიამოვნოთ დამრჩა მისი ბაღ-ვენახის დათვალიერება! მშვენიერი, საზღვარ-გარეთელი ჯიშის ხეხილი ევროპიულს წესრიგზედ დარგული, რომელთაც ტანი ბორჯღალომდის (крона) კირითაა თეთრად შეღებილი და მუქი მწვანე ფოთლებით შებურვილი, რიგზედ ჩაყრილი, სალი ნაწამლი ვენახი, სწორე, გარდი-გარდმო გაყვანილი გზები, ისე გგონია კაცს, სადმე საუკეთესო საზღვარ-გარეთელს ფერმაზედ დავსეირნობო!.. საჭიროდ მიმაჩნია ჩვენებურ ბაღოსანთ მიაქციონ ყურადღება შემდეგ გარემოებას:

თავ. გიგო ი. ჯავახიშვილის ვენახში საუკეთესო გავლენა იქონია ხეხილზედ შაბიამანით წამლობამ. შარშან იმის ბაღში ხეხილი ისე იყო ჭირისგან შეჭმული, რომ ერთი ნაყოფიც აღარ შერჩა შემოდგომამდის, თუმც გაზაფხულზედ ნასახი მშვენივრად ეტყობოდა.

წრეულს, ამ ნაირი წამლობის შემწეობით, სასიამოვნოთ გააქვთ ლაჟლაჟი მწვანეთ შემოსილ ხეხილს, ისე, რომ ავადმყოფობის კვალიც არსად ეტყობათ. შაბიამანს ვერმორელის მანქანით უნდა სხურება და ბორჯღალოს კარგათ დასველება. გიგო ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილმა და ახალქალაქში მცხოვრებმა თ. გიორგი იორამის ძე თარხნიშვილმა, ეხლანდელმა გორის მაზრის მომრიგებელ-შუამავალმა, მევენახეობა-მებაღეობის გარდა ხელი მიჰყვეს გონივრულს მეფუტკრეობასაც. ნამეტნავად უკანასკნელმა ისეთი უნარი და ფხა გამოიჩინა მეურნეობაში, რომ გასაკვირველსა ვართ.

ამას წინად მიმიწვია გიგო ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილმა და უბრალო, ჩვენებურს სკიდგან გადაუსხით ფუტკარი ამერიკულ სისტემის ლანგსტროტის სკაში. თუმცა იქ მყოფი გლეხ-კაცები უნდოს თვალით უყურებდნენ ამ მუშაობას და იძახდნენ: „მაგ ფიცრის სახლში ტყუილად გადაგყავთ ფუტკარი, ვერ ისადგურებსო", —მაგრამ აი დღეს თითონ დარწმუნდნენ, რომ „ფიცრის სახლში" ძალიან კარგათ სადგურობს „ღვთის ბუზი" და სასოებით გაიძახიან: „დიდება შენთვის ღმერთო, რას არ მოიგონებს კაცის ჭკუაო"—. ვისურვოთ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას უფრო მეტად გასჯდომოდეს გონივრული მეურნეობის საჭიროება და უწინდელივით [illegible] ხალხის წინამძღვრობა დროს შესაფერის იარაღით.

მეფუტკრე-ბაღოსანი შაქრო ჯავახიშვილი.

⁂ **ს. ნაფარეული** (კახეთი). **ხარჩების თავგასავლა და მოხელეთა უვარგისობა.** ჩვენი სოფელი ბევრით არის უკან ჩამორჩენილი მრავალს კახეთის სოფლებს; უხეირო და უვიცი მოხელეების გამო ლამის მთლად დაიღუპნენ აქაურნი მცხოვრებნი!

რადგანაც მთელი ს. ნაფარეულის მთა-ტყე-მინდორი შეადგენს საუფლისწულო მამულს, გარდა ზოგიერთი ვენახებისა და ნადელებისა, აქ ყოველს დროს დიდ-ძალი მუშა ხალხი ტრიალებს და გაცხარებული მუშაობაა, როგორც ტყეში და მინდორში, აგრეთვე ზვარშიაც. ეს ზვარი, როგორც თვით სახელი უჩვენებს „დიდი ზვარი", უდიდეს ზვრად ითვლება როგორც კახეთის საუფლისწულო მამულში, აგრეთვე საზოგადოდ მთელს კახეთშიაც. ამ ზვარში 117 დესეტ. ვაზით გაშენებული გახლავთ და რამდენიმე ათეული დესეტინა კიდევ მინდორია, რომლიდგანაც ყოველს წელიწადს უმატებენ და ვაზით ავსებენ: ამის გამო აქ თითქმის ყოველ დღეს მუშაობს 200-მდის მამა-კაცი და 160-მდის დედა-კაცი. ამდენს ხალხს, რასაკვირველია, ყოველთვის ბევრი სასმელ-საჭმელი და ხორაგეულება სჭირდება. ამის გამო ამ სოფელში ბევრი დუქნებია გაშენებული: წვრილამანისა, ფარჩისა, მიკიტნისა და სხ. მოვაჭრენი, როგორც საზოგადოდ კახეთში, ერთის გარდა, სულ სომხები არიან. ვაჭრობაც, შედარებით სხვა სოფლებთან, კარგია, მაგრამ სიძვირეს კი ნუღა იკითხავთ! ამ ორის წლის წინათ კიდევ ზოგიერთი სავაჭროსა და სანოვაგის წეს-რიგი სუფევდა, მაგ: ხორცისა, ნავთისა, ყველისა, ერბოსი არაყისა და სხ. პატივცემულის მამასახლისის თ. ლ. ნ. ყარალაშვილის წყალობით, რომელიც სიფიცხიერათ და ერთგულად განაგებდა ყველა თავისს საქმეებს 3 წლის განმავლობაში. ეხლა-კი, რაც სხვა ბრძანდება მამასახლისად, ჩარხი უკუღმა დატრიალდა და ყოველივე საქმე დაქვეითდა.

წინათაც გვქონდა ნათქვამი, რომ აქაურნი მოვაჭრენი თავიანთს ნებაზედ ვაჭრობენ და ხმა რომ გასცეთ, კიდეც შეგამკობენ უშვერის სიტყვებით!.. (იხ „ივერია" № 132.) მამასახლისი ამათ ხმას ვერა სცემს, რადგანაც ამათი ეშინიან სხვა-და-სხვა მიზეზებისა და თავის უხეირობისა გამო და როგორც უნდათ, ისე იქცევიან. ხალხიც აბუჩად აგდებულ მამასახლის ყურს არ უგდებს.

აბა აქ რა კეთილი საქმე გაკეთდება?!

რად უნდა იყოს აქ ესეთი სიძვირე სანოვაგისა, როგორც ეხლაა? ხორცის, ყველისა, ერბოსი და სხ., როდესაც გამყიდველთ თავისის ფეხით მოაქვს აქ ყველი, ერბო და სხ. და მედუქნეები თავიანთს დუქნებში გაუსჯელადა ყიდულობენ ნახევარ ფასათ. მაგ: ყველს ფუთს 3—4 მან. ერბოს ფუთს 8—10 მან. და საკლავს ხომ სულ იაფად.

ს. ნაფარეული გზა ადგილია და ზედ დაუდისთ ყოველს შემოდგომაზე და გაზაფხულზე: ცხვარი, ძროხა და სხვა საკლავი საქონელი, როდე-

ც საძოვრისათვის გაატარებენ ხო- მე ან მთაში და ან შირაქში. მთა, დაც ზაფხულობით ცხვარი და ძრო- დგება საძოვრად, ისე ახლოა აქე- ან, დილით რომ კაცი წავიდეს სა- ლავების სასყიდლად, იყიდის და სა- ამომდის დუქანში ჩამორეკავს.

მიუხედავად ყველა ამ გარემოები- ა, რომელნიც ხელს უწყობენ სიია- ვეს,—ყველაფერი ძვირია აქ; მაგა- ლითად მოვიყვან აქაურს ფასებს: ორცი ძროხისა გირვ. 7 კ., ცხვრი- ა აქამდის 8 კ. იყო და ეხლა 7 აპ., ძველი ყველი 20 კაპ., ახ·ლი —15 კაპ., ერბო 30 კაპ., ლოქოს ევზი ხმელი 1 გირვანქა 20 კაპ., არგი მაინც იყოს, სადაც გადასაყ- ელია და უვარგისი ის მოაქვთ. არდინკა 35 კ. კიტრი, რომელიც ეხლა ყველგან ბევრია, აქ აქამდის მაურათ 4—5 იყო და ეხლა-კი შა- ურათ 6. არაყი, „ტრიცატკა» 13 კ. ღვინო თუნგი 1—2 მანათამდის და სიც თავანკარი მაინც იყოს, ათას- აირათ არის არეულ-დარეული და ეზავებული; მარილი 10 გირ. 20 კ. ავთი 1 გ. 6. კ. და სხ. აბა რა ნას კაცმა და როგორ იცხოვროს.?!

აქ, როგორც მოგახსენეთ, დიდ- ალი მუშა ხალხია და ფულიც ბევ- რი ტრიალებს, მაგრამ რა გამოვიდა! , სხვისი ნაშრომი და ნაწვავ-ნადაგი ული ამ ვაჟბატონებს ახარებს და მათს ჯიბეებს ასუქებს. „ვინა შრო- ობს და ვინა ძღება!..

ალ. ვარდიაშვილი.

⁂ **ოზურგეთი** შემოწირულება. ნო რედაქტორო! უმორჩილესადა თხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გა- ეთის საშუალებით უგულითადესი ადლობა გამოვუცხადოთ თავად ქაიხ- სრო გურიელის ასულს ეკატერინეს, რომელმაც კეთილ ინება და გადმო- ვცა ოზურგეთის უფასო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ 57 მანათი, შე- მოსული მისისავე მოთავეობით ქ. ზურგეთში გამართულ ქართულ წა- რმოდგენისაგან.

ეს ფული მოხმარდა ხსენებულის წიგნთ-საცავისთვის კიევიდან რუსულ წიგნების გამოწერას.

წიგნთ-საცავის დამაარსებელი კომიტეტი.

⁂ **ს. შილდა** (კახეთი). **ყვარლის საბლაღოჩინოს მღვდელთა კრება.** ივნისის 5-ს მოახდინა ყვარლის ბლა- ღოჩინ დეკ. ნ. ხუციშვილმა თვის საბლაღოჩინოს მღვდლების კრება. კრებისათვის დანიშნული იყო ს. ენი- ელი, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ კრებაზედ მოწვეულნი ყველა მღვ- ელები. მიუხედავად იმისა, რომ და- იშნულს დღეს კრებას მცირედი იცხვი დაესწრო მღვდლებისა—10 ღ. (ყვარლის საბლაღოჩინო შეს- გება 19 მღვდ.), გაიხსნა კრება ლაღოჩინ დეკ. ხუციშვილის თავ- ჯდომარეობით. თავმჯდომარემ აღ- რა კითხვა იმის შესახებ, რომ ბლა- ღოჩინს ყოველთვის სჭირდება კაცი ქეთ-იქით ქაღალდებისათვის და სხვა აქმისათვის გასაგზავნ-გამოსაგზავნა- ად და ამ კაცის დაქირავება და ჯამაგირის მიცემა ჩემი ვალი არ არი- ს. ამისათვის გთხოვთ, მამანო, დაა- გინოთ ამის შესახებ, რომ როგორც აქამდის იყო უწმინდესისს სინოდის იერ დამტკიცებულის წესდების მე 51 § ძალით, ვიყოლიო ჩემს უწყებაში მყოფნი მედავითნენი თითო კვირით ჯერ-ჯერითაო. ამაზედ ზოგი მღვდელი კიდეც დასთანხმდა ბლაღოჩინს, მაგრამ ბლაღოჩინის თანაშემწემ მღ. მ. ვარდიაშვილმა უარი განაცხადა და კრებას განუმარტა: „რადგანაც მღვდლების მეთვალყურეობით და მათის განკარგულებით მედავითნეთ შემდეგს მოვალეობას აკისრებს ა) ღვთის მსახურების დროს სახორო საგალობელსა და საკითხავის აღსრულებას, ბ) მღვდელთან ყოფნას, როდესაც იგი მრევლში დადის სასულიერო მღვდელ მოქმედების გარდასახდელად და გ) სამწერლო საქმეთა წარმოებას საეკლესიო სამრევლო და წერა-კითხვის სასწავლებლების წესებით ამ სასწავლებლებში მასწავლებლობა შეუძლიანთ არა თუ მარტო მღვდლებს და მთავრებს არამედ კრებულის უმდაბლეს წევრთაც მედავითნეებს (საეკლესიო სამრევლო სასწავლებლების წესების მე 10 § ი და წერა-კითხვის სასწავლებლების წესების მე 6 §-ი) უწმინდესმა სინოდმა მიიღო ეს მხედველობაში, რომ უკეთუ მედავითნენი თავიანთს მრევლს მოაშორეს აქეთ-იქით გასაგზავნათ და მთავარნი სამწერლო საქმეების საწარმოებლად, კრებულის ეს წევრნი თავის მოვალეობას სამრევლოს და სასწავლებლების მიმართ ისე რიგზედ ველარ შეასრულებენ. და მეორის მხრივ, რომ ეპარქიათა უმეტეს ნაწილში ბლაღოჩინებს თავიანთის შრომისთვის კრებულთა და ეკლესიათაგან ჯამაგირი აქვს დანიშნული, დაადგინა: ხსენებული 51 §-ი წესდებისგან გამორიცხული იქმნას რაიცა გამოცხადდა ჟურნალს „საეკლესიო უწყებაში" (Духовный вѣстникъ грузинскаго экзархата 1896 г. № 16) უწმინდესის სინოდის დადგენილობას წინ ვერ აღუდგებით და მედავითნეთ ჩვენის უფლებით ვერასფერს ვერ დავაკისრებთო. რომელს ბლაღოჩინთაგანსაც არ შეუძლიან თანახმად ამ გარდაწყვეტილებისა თანამდებობის აღსრულება, შეუძლიან თვით აცნობოს მთავრობას და მანამ კი როგორც გადაწყვეტილია ისე უნდა შეასრულოსო და სხ. ამას ბევრი სხვა ლაპარაკიც მოჰყვა და სადილობაც მოვიდა. კრება გადაიდო 18 ივნისისათვის.

18 ივნისს მოხდა მეორე კრება ს. შილდაში ბლაღოჩინ დეკ. ხუციშვილისვე თავმჯდომარეობით. ეხლაც თითქმის ნახევარ საბლაღოჩინოს მღვდლები ძლივს დაესწრნენ, თანაშემწეც ბლაღოჩინის ამ კრებას ვერ დაესწრო. გაიხსნა თუ არა კრება, მაშინათვე ბლ. დეკ. ხუციშვილმა ისევ ის კითხვა აღძრა, მედავითნენი მოვალეთ გავხადოთ ოთხ-ოთხი მანეთი იკისრონ იმ კაცის ჯამაგირად ვინც ქაღალდების და სხვა საჭიროებისათვის გასაგზავნ გამოსაგზავნათ იქმნება დაქირავებულიო. ამ აზრზედ თუმცა ზოგმა მღვდელმა უარი განაცხადა, მაგრამ, შემდეგ ბევრის ლაპარაკისა, ყველანი დასთანხმდნენ ბლ. დეკანოზის ნ. ხუციშვილის აზრს. შეადგინეს ქაღალდი, მოაწერეს ხელი და გაამზადეს გასაგზავნათ და დასამტკიცებლად სადაც ჯერ-არს.

კახელი ვინმე.

ნიხრი.

ძროხის ხორცი პირველის ხარისხისა გირვანქა	. . . . .	8 კაპ.
სუკი—გირვანქა	. . .	12 —
ცხვრის ხორცი გირვანქა	.	8 —

ამიერ კავკასიის რკინის გზა

მატარებელის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ,

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისით, გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამგზავრო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული"

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის" მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქ ნ ნინო ბერექიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში".

ლანჩხუთში—„შუამავალში", კ. თავართქილაძესთან.

საჯილაოში—„შუამავალში".

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

ციფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე გოლეთიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცხალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.

ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—17) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი**.

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული

ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი

„**ქართველთა ცრემი**" ასამდე სურათით

და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს

5 მანათად.

ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—15)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ფალ. გუნია